

ვალერიან მატოველი  
გიორგი დავითაშვილი

პოლიტიკურ და  
სამართლებრივ  
მოძღვრებათა  
ცეტრისა

(ლექციების კურსი)

გამომცემლობა „მერიდიანი“

თბილისი

1999

06გლისის პოლიტიკური და სამართლებრივი  
0ღეოლოგია XVII საუკუნეები

მე-17 საუკუნის ინგლისში ბურჟუაზიული რევოლუცია მოხდა, რომელიც თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის კომპრომისით დამთავრდა, ამიტომ ამ პერიოდის ინგლისის პოლიტიკური იდეოლოგიაც თავადაზნაურობასა და ბურჟუაზიას შორის არსებული ურთიერთობის ამსახველია.

მეფის ხელისუფლების მომხრეებს „კავალერებს“ ეწოდება. ისინი იცავდნენ მეფის ხელისუფლების აბსოლუტურობას, ამასთან, ასაბუთებდნენ, რომ მეფე დედამიწაზე ღმერთის შემცვლელად იყო მოვლენილი. მეფის ხელისუფლების ერთ-ერთი მომხრე და დამცველი რობერტ ფილმერი თავის წიგნში „პატრიარქი ანუ მეფის ბუნებითი ხელისუფლება“, ასაბუთებდა მეფის ხელისუფლების შეუზღუდველობას და მიუთითებდა, რომ მეფები ბიბლიური პირველი ადამიანის - ადამის შთამომავლები არიან, რომელსაც ღმერთმა მიანიჭა არა მარტო მამის ხელისუფლება, არამედ მის შთამომავლობაზე სამეფო ხელისუფლებაც. ადამისაგან ეს ხელისუფლება გადაეცა მის გვარში უფროსს. ბოლოს და ბოლოს ხელისუფლების მატარებლები გახდნენ მეფები. ფილმერის სიტყვებით, პარლამენტისხვა არაფერია თუ არა მეფის ხელისუფლების ორგანო.

§1. ტომას კობზის პოლიტიკური და სამართლებრივი  
შეხედულებანი

მე-17 საუკუნის ინგლისში მეფის ხელისუფლების დამცველად გამოვიდა ბუნებითი სამართლის ცნობილი წარმომადგენელი ტომას პობზი (1588-1679). ტომას პობზი ბუნებითი სამართლის პოზიციებიდან მეფის

ხელისუფლების აბსოლუტურობას იცავდა. 1640 წელს მეფის მიერ პარ-ლამენტის დათხოვნიდან რამდენიმე დღის შემდეგ პობზმა გამოაქვეყნა ტრაქტატი: „ხელისუფლებისა და მეფის უფლებათა დაცვა აუცილებელია სახელმწიფოში მშვიდობის შესანარჩუნებლად”. ამ შრომისათვის პობზს საფრთხე ემუქრებოდა და ამიტომ საფრანგეთში გაიქცა. პარიზში პობსმა დაწერა შრომა „მოქალაქის შესახებ”, „ადამიანის შესახებ”. აქვე შექმნა თავისი ძირითადი თხზულება პოლიტიკურ თემაზე: „ლეგისათანი”. აღ-ნიშნულ შრომებში პობზი აბსოლუტურ მონარქიას იცავდა. 1652 წლს იგი ინგლიში ბრუნდება. ინგლისის მაშინდელი მეთაური ოლივერ კრომველი, პობზს მაღალ თანამდებობას სთავაზობს, მაგრამ პობზი უარს აცხადებს მასზე. რესტავრაციის პერიოდში პობზი მოწამლეს, რითაც იგი გარდაიც-ვალა, მისი გარდაცვალების შემდეგ კი მისი წიგნები საჯაროდ დაწვეს.

თავისი ფილოსოფიური მრწამით პობზი მექანიკური მატერიალიზმის წარმომადგენელია. მისი აზრით, სამყარო შედგება უწვრილესი ნაწილა-კების - ატომებისაგან. ამასთან, ატომები არ ქრება და არც ახალი წარ-მომობა, არამედ იგი მარად არსებობს. მექანიკური მატერიალიზმის წარ-მომადგენელი პობზი, სახელმწიფოს განიხილავს როგორც დიდ მექანიზმს, რომელიც წარმოიქმნა ადამიანთა მისწრაფებებისა და მიღრეკილებების მოძრაობის შედეგად. სახელმწიფოს წარმოშობის ასახსნელად პობსი ცდი-ლობს გაარკვიოს, თუ რას წარმოადგენს ადამიანი. იგი არ ეთანხმება ჰუკ-გროციუსს, რომელიც ასაბუთებდა, რომ ადამიანი საზოგადოებრივი მიღ-რეკილების მქონეა. პობზის აზრით, ადამიანების სახელმწიფოში გაერთი-ანება სიყვარულის მიზეზით კი არ ხდება, არამედ შესაბამისი და ეგოისტურო-ბის, სხვაზე გაბატონების სურვილის მიზეზით. პობზის აზრით, ადამიანები ბუნებით მდგომარეობაში ერთმანეთისადმი მტრულად იყვნენ განწყო-ბილნი, ეშინოდათ და სძაგდათ ერთმანეთი. იგი ამბობდა: „ადამიანი ადა-მიანისათვის მგელია”. ერთი სიტყვით, ბუნებითი მდგომარეობა წარმო-ადგენდა ყველას ომს - ყველას წინააღმდეგ. პობსი ამ მდგომარეობიდან გამოსავალს გონების მოშველიებაში ხედავს. იგი გონების მოთხოვნას ბუ-ნებით კანონებს უწოდებს, ბუნებითი კანონებიდან კი ყველაზე უმთავრესია კანონი: „საჭიროა მშვიდობის დამყარება, საჭიროა ბოლო მოედოს საყო-ველთაო მტრობას”, ამისათვის კი საჭიროდ მასწნდა დადებულიყო საზო-გადოებრივი ხელშეკრულება, რაც ადამიანებს ბუნებითი მდგომარეობიდან

გამოიყვანდა და ადამიანთა ურთიერთობის ახალ ფორმას - სახელმწიფოს შექმნიდა.

მაგრამ აღნიშნული ხელშეკრულება მიზანს მიაღწევს მხოლოდ მშინ, თუ იგი შესრულდება, ე.ი. ჰობზის აზრით, მეორე ბუნებითი კანონია ხელშეკრულების აუცილებლად შესრულება. ძირითადი ბუნებითი კანონები-დან ჰობზს გამოჰყავს არაძირითადი კანონები, როგორიცაა: სიკეთის გა-მოვლინების მოვალეობა, წყენინების პატივება, სხვებისადმი პატივისცემა, ადამიანთა თანასწორობის ცნობა და სხვა.

ჰობზის გაგებით ბუნებითი კანონები მორალის ნორმებია, რომელიც უცვლელია, ხოლო მისი მოთხოვნები - მუდმივი.

ჰობზს, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, მიზნად ჰქონდა აბსოლუტიზმის დასაბუთება, ამიტომ იგი აღნიშნავს, რომ ადამიანებმა დაამყარეს სახელ-მწიფოებრივი ხელისუფლება უსიტყვო დამორჩილების საუფლებელზე, ამი-ტომ ადამიანებმა უნდა უარყონ „ბუნებივი“ უფლებები და დაემორჩილონ სახელმწიფო ხელისუფლებას, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ კვლავ ანარ-ქია, მტრობა და შური ელით.

ჰობზის აზრით, სახელმწიფო ხელისუფლება ერთიანია და არაფრით არ არის გაყოფილი. იგი მოქმედებს ყოველგვარი კონტროლის გარეშე და არავის წინაშე არ არის პასუხისმგებელი. ამასთანავე, იგი სამოქალაქო კანონებზე მაღლა დგას. სახელმწიფო ხელისუფლება იგივეა სახელმწი-ფოში, რაც სული ადამიანის ორგანიზმში. სახელმწიფო ხელისუფლება ადგენს, თუ რა არის კარგი და ცუდი, იგი ასევე ადგენს საკუთრებასაც. სახელმწიფოს ქვეშვერდომები იგივე მონები არიან, განსხვავება ის არის, რომ ქვეშვერდომები ემსახურებიან სახელმწიფოს, მონები კი - ადამია-ნებს. ჰობზი ერთმანეთისაგან განასხვავებს სახელმწიფო ფორმებს, კერ-ძოდ, თუ ხელისუფლებას სათავეში უდგას ერთი პირი - მონარქიაა, თუ რამდენიმე რჩეული - არისტოკრატია. ჰობზი იცნობს დემოკრატიზაცია-საც. იგი ხელისუფლების დანაწილების წინააღმდეგია და, მისი აზრით, ხელისუფლება თავმოყრილი უნდა იყოს ერთი პირის ან ერთი ორგანოს ხელში.

ჰობზი რევოლუციის წინააღმდეგი იყო. იმ დროსაც კი, როდესაც ინგ-ლისმი გამწერებდა ბრძოლა ბურჟუაზიასა და მეფის აბსოლუტიზმის დამც-ველ თავადაბნაურობას შორის, აგრეთვე მაშინ, როდესაც ბურჟუაზია მო-

ითხოვდა ხელისუფლების დანაწილებას - პობზი მაინც აბსოლუტისმში ხედავდა სახელმწიფო ხელისუფლების საუკეთესო ფორმას. მაგრამ აღნიშნული პერიოდის ინგლისში აბსოლუტური მონარქია საწარმოო ძალების შემდგომი განვითარების შემაფერხებელი გახდა, ამდენად, პობზის პროგრამა, რითაც აბსოლუტურ მონარქიას იცავდა, უკვე რეაქციული იყო. თვით ინგლისელი მონარქისტებიც არ იყვნენ კმაყოფილნი პობზის მოძღვრებით. როიალისტები არ იწონებდნენ პობზის მატერიალიზმს და უპირატესობას რელიგიას ანიჭებდნენ. მეფის მომხრეები უკმაყოფილონი იყვნენ პობზისა იმდენად, რამდენადაც ეს უკანასკნელი სახელმწიფო ფორმებიდან დასაშვებად სცნობდა რესპუბლიკაც.

## §2. იცდეპენდენტებისა და ლეველერების პოლიტიკური შეხედულებანი

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ინგლისში მე-17 საუკუნის ბურჟუაზიული რევოლუციის პერიოდში მეფის ხელისუფლების მომხრეებსა და მის მოწინააღმდეგებს, ანუ რევოლუციურ ბანაკს შორის იდეოლოგიური ბრძოლა მიმდინარეობდა.

რევოლუციური ბანაკის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ინდეპენდეტების პარტია იყო, რომელიც უმთავრესად საშუალო ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის ინტერესებს გამოხატავდა. ინდეპენდენტთა მოძღვრება წარმოადგენდა პურიტანიზმის ანუ რელიგიური მოძღვრების ერთ-ერთ მიმდინარეობას, რომელიც მიმართული იყო ფეოდალური ეკლესიის წინააღმდეგ. ინდეპენდეტები რელიგიურ თავისუფლებას მოითხოვდნენ. ისინი რესპუბლიკის მომხრენი არ იყვნენ და შეზღუდულ კონსტიტუციურ მონარქიას მოითხოვდნენ. ინდეპენდეტებთა ცნობილი წარმომადგენლები არიან ჯონ მილტონი და ოლჯერონ სიდნეი. არც ერთი მათგანი არ ყოფილა სახელმწიფოს დემოკრატიული ფორმის თანმიმდევრული მომხრე. ისინი გამოხატავდნენ შსხვილი და საშუალო ბურჟუაზიის ინტერესებს, ასევე რევოლუციისადმი მიმხრობილ თავადაზნაურობის ინტერესებს და ინდეპენდენტების მთელი პარტიის წარმომადგენელთა მსგავსად კომპრომისს და კონსტიტუციური მონარქიის დამყარებას ემსრობოდნენ.

წერილი ბურუჟაზისა და გლეხობის ინტერესებს გამოხატავდა ლე-  
ველერების ანუ გამთანასწორებლების პარტია, რომელიც 1647 წლიდან  
წარმოშვა ინდეპენდენტთა პარტიის მემარცხენე ფრთიდან. მათი ცნო-  
ბილი წარმომადგენელია ჯონ ლილბერნი (1614-1657). ლილბერნი ჯერ  
კიდევ ახალგაზრდობისას 3 წლით იქნა დაპატიმრებული ეკლესიის წი-  
ნააღმდეგ გამოსვლისათვის. სამოქალაქო ომის დროს ლილბერნი მონა-  
წილებდა პარლამენტის ჯარების მხარეზე, მაგრამ პარლამენტის კრი-  
ტიკისათვის ოლივერ კრომველის ბრძანებით კვლავ დაპატიმრეს. ლილ-  
ბერნი უშიშრად აკრიტიკებდა კრომველს და მის მთავრობას.

ლილბერნი ქადაგებდა, რომ სახელმწიფო ხელშეკრულების გზითაა  
წარმოშობილი, ამდენად, მისი აზრით, თავისუფალმა ინგლისელმა ხალხმა  
უნდა აღკვეთოს მთავრობის თვითნებობა. ლილბერნი მოითხოვს მთავრო-  
ბის წევრთა ანგარიშგებას პარლამენტისადმი. იგი წინააღმდევია ზედა  
პალატის არსებობისა, რომელსაც ინგლისის სახოგადოების განვითარების  
მუხრუჭად თვლიდა.

ლილბერნი საყოველთაო არჩევნების მომხრედ გვევლინება. იგი მიუ-  
თითებს, რომ საარჩევნო უფლება მარტო მათ როდი უნდა ენიჭებოდეს,  
ვინც ჯარში მსახურობს, ან ვინც ამისათვის სპეციალურ გადასახადს იხ-  
დის და სხვ., არამედ ყველა მოქალაქეს, ვისაც გარკვეული ასაკი შეუს-  
რულდა. ლილბერნი რელიგიურ თავისუფლებას მოითხოვდა.

სისხლის სამართალში ლილბერნი აყენებდა პრინციპს: „არაა დანშა-  
ული კანონის გარეშე“. იგი მოითხოვდა კანონის წინაშე ყველას თანას-  
წორობას. ლილბერნი მოითხოვდა სასამართლოს ბურუჟაზიულ პრინცი-  
პებზე აგებას, რომლის მიხედვით სასამართლოში მართლმსაჯულებას უნ-  
და ახორციელებდეს 12 მსაჯული.

ლილბერნი და ყველა ლეველერები მოითხოვდნენ თანასწორობას  
მხოლოდ პოლიტიკური უფლებებისა და არა საკუთრების ხაზით თანას-  
წორობას. მაგალითად, ლილბერნი პირდაპირ მიუთითებს, რომ პარლა-  
მენტს უფლება არა აქვს მოქალაქეთა ქონებრივი გათანასწორებისა ანუ  
საკუთრების განსაზოგადოებისა. ლეველერები, ინდეპენდებისაგან განს-  
ხვავებით, მთლიანად უარყოფდნენ ფეოდალებთან შეთანხმებას და მო-  
ითხოვდნენ დემოკრატიის პრინციპების გატარებას.

მე-17 საუკუნის ინგლიში უღარიბესი გლეხობისა და პროლეტარი-

ატის იდეოლოგად გვევლინებიან ე.წ. ჭეშმარიტი ლეველერები ანუ დი-  
გერები, რომლებიც მოითხოვდნენ კერძო საკუთრების გაუქმებას, მათ  
შორის მიწაზეც. მათი წარმომადგენელია ჯერად უინსტენლი, რომელ-  
მაც 1649 წ. დაწერა შრომა „სამართლიანობის ახალი კანონი”, რომელშიც  
ავტორი აღნიშნავს: „არავის არ უნდა გააჩნდეს მიწა იმაზე მეტი, რისი  
დამუშავებაც მას და მის ოჯახს შეუძლია”. იგი მოითხოვს შეწყდეს მიწების  
ყიდვა-გაყიდვა. უინსტენლი წერს, რომ კერძო საკუთრებამ მიიყვანა ადა-  
მიანები ძარცვამდე, მკვლელობამდე და სხვა სახის უბედურებებამდე.  
უინსტენლი წარმოადგენს ახალ საზოგადოებას, რომელშიც ყველა შრო-  
მობს და საზოგადოებრივი საწყისებიდან ყველა თანაბრად იღებს აუცი-  
ლებელს. ერთი სიტყვით, უინსტენლი უხეში თანასწორობის იდეის მომხ-  
რეა.

### §3. პოლონის პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებანი

როგორც ცნობილია, მე-17 საუკუნის ინგლისის რევოლუცია დამთავ-  
რდა ბურჟუაზიასა და თავადახნაურობას შორის კომპრომისით. აღნიშნუ-  
ლი კომპრომისით შექმნილი ბლოკის მომხრედ გვევლინება ჯონ ლოკი  
(1632-1704). იგი იკავდა ინგლისის კონსტიტუციურ მონარქიას, რომე-  
ლიც 1688 წლის გადატრიალების შედეგად ჩამოყალიბდა.

ჯონ ლოკი წარმოშობით ძველი ვაჭრის გვარს მიეკუთვნებოდა, მისი  
მამა კი იურისტი იყო.

ჯოკი ბურჟუაზიის იდეოლოგია. იგი საზოგადოებრივი და პოლი-  
ტიკური წყობის შესახებ ბუნებითი სამართლის იდეებს ქადაგებს, კერძოდ,  
აკრიტიკებს ფეოდალიზმს, როგორც ადამიანთა ბუნებითი მდგომარეობი-  
სათვის შეუფერებელს.

ამასთან, ადამიანთა ბუნებით მდგომარეობას იგი ხატავს როგორც თა-  
ვისუფლებისა და თანასწორობის სამყაროს, თითქოს ადამიანები ბუნებით  
მდგომარეობაში თავისუფლად განაგებენ საკუთარ თავს, ქონებას, ყველა  
თანასწორუფლებიანია. ჯონ ლოკის აზრით, ადამიანთა ბუნებითი მდგო-  
მარეობა ს დროს სრულიადაც, არ ჰქონია ადგილ იმებს, როგორც ამას  
ჰობზი ქადაგებდა. ჯონ ლოკი მიუთითებს, რომ ბუნებითი მდგომარეობის

დროს ომებს მაშინაც რომ ჰქონდა ადგილი, იგი ერთი ადამიანის მიერ  
მეორის დაპყრობით დამთავრდებოდა, რასაც იმ დროს ადგილი არ ჰქონია.

სხვა ბუნებით უფლებებთან ერთად ჯონ ლოკი კერძო საკუთრებას  
თვლის ბუნებით მოვლენად, ლოკის აზრით, კერძო საკუთრება წარმოშვა  
ჯერ კიდევ სახელმწიფოს წარმოშობამდე და იგი, როგორც ინდივიდის  
ერთ-ერთი ბუნებითი უფლება, სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად არ-  
სებობს. ბუნებითი სამართლის სხვა წარმომადგენლების მსგავსად ჯონ  
ლოკი სახელმწიფოს წარმოშობისა და არსის საკითხებს ბუნებითი სამართ-  
ლის თეორიით ხსნის. იგი მიუთითებს, რომ მართალია, ადამიანთა ბუნებ-  
რივი მდგომარეობის დროს თავისუფლება არსებობდა, მაგრამ ამ შემთხ-  
ვევაშიც თავისუფლებასა და საკუთრებას გარკვეული საფრთხე ემუქრე-  
ბოდა, ამიტომ ადამიანებმა თავიანთი უფლებების ნაწილი ნებაყოფლობით  
დათმეს და იგი სახელმწიფოს გადასცეს. ჰობზის საწინააღმდეგოდ ლოკი  
აღნიშნავს, რომ ადამიანებმა მთლიანად კი არ გადასცეს თავიანთი უფ-  
ლებები სახელმწიფო ხელისუფლებას, არამედ - ნაწილობრივ, კერძოდ  
კი იმ ოდენობით, რაც საჭირო და აუცილებელია მშვიდობის დასამყარებ-  
ლად. ჯონ ლოკი აბსოლუტური მონარქიის მომხრე არ არის, მისი აზრით,  
აბსოლუტური მონარქია არ შეესაბამება ბუნებით მოთხოვნებ. ლოკი ბუ-  
ნებითი სამართლის მოძღვრებას შეზღუდული კონსტიტუციური მონარ-  
ქიის დასასაბუთებლად იყენებს.

პოლიტიკურ ლიტერატურაში კონსტიტუციური მონარქიის დასასა-  
ბუთებლად პირველმა ჯონ ლოკმა წამოაყენა წინადადება ხელისუფლე-  
ბის დანაწილების შესახებ, თუმცა მე-18 საუკუნის ფრანგ მოაზროვნეს  
მონტესკიეს თვლიან ამ თეორიის მამამთავრად, უნდა აღინიშნოს, რომ ამ  
უკანასკნელმა მხოლოდ განავითარა ჯონ ლოკის შეხედულებანი ამ სა-  
კითხზე.

განმარტავს რა ხელისუფლების დანაწილებას - ჯონ ლოკი მიუთი-  
თებს, რომ ერთმანეთისაგან უნდა გავარჩიოთ სამი სახის ხელისუფლება:  
1) საკანონმდებლო; 2) აღმასრულებელი და 3) საკავშირო, ანუ ფედერა-  
ციული. საკანონმდებლო ხელისუფლება გამოსცემს კანონებს, აღმასრუ-  
ლებელი ასრულებს მათ, ხოლო ფედერაციული - განავებს საგარეო პო-  
ლიტიკის საკითხებს. ჯონ ლოკთან სასამართლო ხელისუფლება შთანთ-  
ქმულია აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ. ჯონ ლოკის აზრით, სა-

კანონმდებლო ხელისუფლებას უნდა ახორციელებდეს პარლამენტი, აღმასრულებელს - მთავრობა, ხოლო ფედერაციულს - განსაკუთრებული ორგანოები. აღნიშნული სამი სახის ხელისუფლებისაგან, ჯონ ლოკის აზრით, უმაღლესია საკანონმდებლო ხელისუფლება, **მაგრამ** ეს ხელისუფლებაც არ არის უმაღლესი და აბსოლუტური. იგი არ უნდა ეხებოდეს ადამიანის ბუნებით უფლებებს, მაგალითად, მას არ შეუძლია გადასახადების დაწესება ხალხის თანხმობის გარეშე.

ხელისუფლების დანაწილების თეორია ინგლისის ბურჟუაზიისა და თავადიზნაურობის მორიგების მაჩვენებლებია.

ჯონ ლოკს დასაშვებად მიაჩნია ხელისუფლებისადმი წინააღმდეგობის გაწევა, კერძოდ, მონარქისადმი წინააღმდეგობის გაწევა, როცა იგი ხელისუფლებას ბოროტად იყენებს. ერთი სიტყვით, ჯონ ლოკი მომხრეა და ამართლებს სახელმწიფო გადატრიალებას.

## თ ა ვ ი XIII

### XVIII საუკუნის საზრაოგეთის პოლიტიკური და სამართლებრივი მოძრაობა

მე-18 საუკუნის საფრანგეთი ბურჟუაზიულ რევოლუციამდე ფეოდალურ სახელმწიფოს წარმოადგენდა, სადაც ძალიან სწრაფად ვითარდებოდა მანუფაქტურული წარმოება და ვაჭრობა. ამასთან, ცალკე ძლიერ კლასად ჩამოყალიბდა საფრანგეთის ბურჟუაზია. გარდა ამისა, ადგილი ჰქონდა ფეოდალიზმის რღვევასა და კაპიტალისტური წყობის თანდათან განვითარებას. ფეოდალური ფორმაციის კაპიტალისტურით შეცვლას თან სდევდა მთელი რიგი წინააღმდეგობების გამწვავება. ამ პერიოდში საფრანგეთში, ერთი მხრივ, განსაკუთრებით იძაბება ურთიერთობა ფეოდალთა კლასსა და ბურჟუაზიას შორის, ხოლო, მეორე მხრივ, უკიდურეს გაჭირებაში ვარდება მშრომელი გლეხობა. საფრანგეთში ფეოდალიზმის რღვევასა და ბურჟუაზიული რევოლუციების მომზადებას თან ერთვოდა და ზოგჯერ უსწრებდა კიდევაც პოლიტიკური იდეოლოგია, რომელიც მიმართული იყო ფეოდალიზმის წინააღმდეგ. საფრანგეთის პოლიტიკური აზრი ამ პერიოდში ძირითადად განმანათლებლურ ხასიათს ატარებდა, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი გმობდა შუასაუკუნეობრივ ცრურწმენას, ჩამორჩენილობას, ფეოდალურ პრივილეგიებს, გმობდა და აკრიტიკებდა ფეოდალურ ეკლესიას, ასევე ყველა ფეოდალურ პოლიტიკურ დაწესებულებას, სახელმწიფოს და სამართალს.

#### §1. ვოლტერის პოლიტიკური შეხედულება

ვოლტერი, ანუ მარი ფრანსუა არსე (1694-1778) იყო გამოჩენილი ფილოსოფოსი, ლიტერატორი და დრამატურგი. ვოლტერი გამოხატავდა

საფრანგეთის ბურგუაზის იმ ნაწილის მისწრაფებებს, რომლებიც არა  
მარტო პრეტენზიას არ აცხადებდნენ ხელისუფლებაზე, არამედ მოით-  
ხოვდნენ ფართო რეფორმებს და სჯერდებოდნენ „განათლებულ“ აბსო-  
ლუტიზმს.

ვოლტერი დაიბადა პარიზში - ნოტარიუსის ოჯახში, 1717 წ. თავისუ-  
ფალი ლექსებისათვის მოათავსეს ბასტიონიაში. 1725 წ. ვოლტერი კვლავ  
დააპატიმრეს. 1726 წლიდან 1729 წლამდე გაასახლეს საფრანგეთიდან.  
ინგლისის მეფის მთავრობა ხედავდა ვოლტერის დიდ ტალანტს და ცდი-  
ლობდა ჩაეთრია იგი სამეფო კარის სამსახურში. 1745 წელს იგი მიწვეულ  
და დანიშნულ იქნა მეფის ისტორიოგრაფიად, მაგრამ მალე გადაყენეს.  
1750-1753 წლებში ვოლტერი ცხოვრობდა პრუსიაში, ხოლო 1758-1778  
წლებში იგი შვეიცარიაში მოღვაწეობდა.

ლუდოვიკ XV-ის გადაყენების შემდეგ 1778 წელს ვოლტერს საშუ-  
ალება მიეცა დაბრუნებულიყო საფრანგეთში, მაგრამ 3 თვის შემდეგ გარ-  
დაიცვალა. 1791 წ. ვოლტერის ნეშტი გადატანილ იქნა საფრანგეთის  
გამოჩენილ ადამიანთა და სახელმწიფო მოღვაწეთა პანთეონში. მისი პო-  
ლიტიკური შეხედულებანი გამოხატულია სხვადასხვა პამფლეტებში, სა-  
მეცნიერო ტრაქტატებსა და მხატვრულ ნაწარმოებებში, თუმცა მას სპე-  
ციალური პოლიტიკურ-იურიდიული ნაშრომები არ ჰქონია.

თავის ნაწარმოებებში ვოლტერი აკრიტიკებდა სამღვდელოების სიც-  
რუეს, რელიგიას, წოდებრივ უთანასწორობას, ფეოდალურ იუსტიციას  
და, ერთი სიტყვით, მთელი საფრანგეთის ფეოდალიზმს.

ვოლტერი აკრიტიკებს კათოლიკურ ეკლესიას, მის უმეცრებასა და  
ფანატიზმს. იგი უშიშრად მოითხოვს ეკლესიის მიერ გამოტანილ უსამართ-  
ლო განაჩენების გაუქმებას. ვოლტერს კათოლიკური ეკლესია ყოველ-  
გვარი პროგრესის მუხრუჭად მიაჩნია, მისთვის კათოლიკური სამღვდე-  
ლოება შარლატანები არიან, ხოლო რელიგია - გრანდიოზული სიცრუე.

ვოლტერის აზრით, გაუნათლებლობა ყველა უბედურების შედეგია,  
რასაც მოჰყვება სიცრუე, ცრემორწმუნეობა, ფანატიზმი. თუმცა, ამ ნაკ-  
ლის გამოსწორება შესაძლებელია მეფეთა და ფილოსოფისთა ურთიერთ-  
თანამშრომლობით.

მიუხედავად იმისა, რომ ვოლტერი აკრიტიკებს კათოლიკურ ეკლე-  
სიასა და სარწმუნოებას, იგი მაინც ცნობს ღმერთსა და რელიგიას. ვოლ-

ტერს რელიგია მიაჩნია იმ საშუალებად, იმ ლაგმად, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება ხალხის მორჩილებაში მოყვანა. მას ეკუთხნის სიტყვები: „ღმერთი რომ არ ყოფილიყო, იგი უნდა გამოგვეგონებინა”. როგორც აღვნიშნეთ, ვოლტერი მე-18 საუკუნის საფრანგეთის განმანათლებელია და, ამდენად, მას ახასიათებს არსებული ფეოდალური წესწყობილებისადმი ნებატიური დამოკიდებულება. იგი ბუნებითი სამართლის პრიციპებიდან აკრიტიკებს ფეოდალურ წესწყობილებას. მისი აზრით, კანონები ~~უ~~ გონიერების კანონებია, ეს ის კანონებია, რომელსაც ბუნება აწესებს, რომლის თანახმად ადამიანი თავისუფალია, თანასწორია და სხვ.

ვოლტერი ლაპარაკობს თავისუფლებასა და თანასწორობაზე. მისი აზრით, თავისუფლება მხოლოდ კანონზე უნდა იყოს დამოკიდებული, ხოლო თანასწორობად მას კანონის წინაშე ფორმალური თანასწორობა მიაჩნია.

ვოლტერი კერძო საკუთრების მომხრეა, მისი აზრით, მხოლოდ კერძო საკუთრების მფლობელთ უნდა მიეცეს პოლიტიკური უფლებები. ვოლტერი ასევე განათლებული აბსოლუტისტმის მომხრეა, მისი აზრით, განათლებული მეცე რეფორმების გატარების გზით შესძლებს ფართო პროგრამის განხორციელებას. მის ხედავად იმისა, რომ ვოლტერი განათლებული აბსოლუტისტმის მომხრეა, იგი ერთგვარი სიმპათითაა განწყობილი ინგლისური კონსტიტუციური მონარქიისადმი. მისი აზრით, განათლებულმა აბსოლუტისტმა ადგილი უნდა დაუთმოს კონსტიტუციურ მონარქიას, ამასთან, არა რევოლუციის გზით, არამედ მშვიდობიანი რეფორმების გზით;

სამართლის ხაზით ვოლტერი მოითხოვდა ურიცხვი კუტიუმების გაუქმებასა და ერთიანი სამართლის შემოღებას. იგი ასევე დანაშაულისა და სასჯელის თანაფარდობისა და მყაცრი სასჯელის წინააღმდეგ გამოდიოდა. სასამართლო პროცესის დარგში ვოლტერი მოითხოვდა ფორმალურ მტკიცებულებათა გაუქმებას, დაცვის შემოღებას. ვოლტერი იბრძოდა ინკვიზიციის, წამების წინააღმდეგ, იგი მოითხოვდა სასამართლოს თანამდებობების გაყიდვის აკრძალვას..




ვოლტერი საზოგადოების გარდაქმნის აუცილებლობასაც ხედავს, მაგრამ არა რევოლუციის, არამედ მშვიდობიანი გზით. ამასთ ნ, მისი აზრით, საზოგადოებისადმი ხელმძღვანელობა უნდა გასწიოს საზოგადოების ზედა

ფენამ, უმცირესობამ, ხოლო ხალხთა ფართო მასებს იგი უნდობლობით ეკიდება. მას ეკუთვნის სიტყვები: „როდესაც მდაბიო ხალხი დაიწყებს განსჯას, მაშინ ყველაფერი დაღუპულია”.

## §2. მონტესკიოს აოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებაცი



შედარებით გაბედული პროგრამით გამოდის მეორე ფრანგი განმანათლებელი შარლ ლუი მონტესკიი (1680-1755). მისი მრავალრიცხოვანი შრომებიდან ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა 1749 წელს დაწერილი შრომა „კანონთა სულის შესახებ”. ამ შრომში მონტესკიე ცდილობს დასაბუთოს, რომ კანონები უნდა შეესაბამებოდეს გეოგრაფიულ პირობებს, ეკონომიკურ მდგომარეობას, რელიგიასა და განსაკუთრებით კი მის პოლიტიკურ დაწესებულებებს. მისი აზრით, კანონმდებელმა ანგარიში უნდა გაუწიოს კლიმატს. მაგ., სამხრეთში ცხელი კლიმატია, ამიტომ ამ ადგილებში სისარმაცე სუფევს, ამის გამო აქ კანონები ისე უნდა იქნეს შემუშავებული, რომ დამინოს ხალხი და აიძულოს ისინი იმუშაონ. მონტესკიეს აზრით, სამხრეთის კლიმატის გამო აქ ადგილი უნდა ჰქონდეს მონობას, თუმცა მონობა არსად არ შეესაბამება გონებასა და ბუნებას. მონტესკიე მიუთითებს, რომ სამხრეთში დესპოტიზმიც ზშირად მყარდება იმის გამო, რომ ცხელი კლიმატი ადამიანებს ქანცავს, ძალას ულევს და განსაკუთრებულ პირობებს ქმნის პოლიტიკური მონობის დასამყარებლად. მაგრამ მონტესკიეს ეს მოსაზრება ახალი არ არის. იგი ეკუთვნის არისტოტელეს, ასევე უან ბოდენს, თუმცა ამ უკანასკნელმაც არისტოტელესაგან იხელმძღვანელა.

მონტესკიეს აზრით, კანონმდებლობაზე მოქმედებს ასევე ნიადაგი. ნაყოფიერი ნიადაგი ხელს უწყობს დამორჩილებას, რადგან, ის ვინც მიწათმოქმედებას მისდევს, მხოლოდ თავისი საქმეებითაა დატვირთული და ვეღარ ინარჩუნებს თავისუფლებას. უნაყოფო ნიადაგი, კი პირიქით, ხელს უწყობს თავისუფლებას, რადგან მასზე მცხოვრები ადამიანები იძულებულნი არიან თვითონ დამოუკიდებლად მოიპოვონ სარჩო, უნაყოფო ნიადაგი ადამიანებს აწროობს, ხდის მამაცს, მეომარს, რათა დაიცვას საკუთარი თავისუფლება.



**ციფრული განვითარების სამინისტრო**

<b>ციფრული განვითარების სამინისტრო</b>	<b>5</b>
<b>პლატონი (ავტორის შესახებ)</b>	<b>7</b>
<b>სახელმწიფო (თავები I, II, IV, VI, VII, X)</b>	<b>9</b>
<b>მაკიაველი (ავტორის შესახებ)</b>	<b>173</b>
<b>გთავარი</b>	<b>175</b>
<b>პოპი (ავტორის შესახებ)</b>	<b>252</b>
<b>ლევიათანი (თავები XII, XIV, XVI, XVII, XVIII)</b>	<b>254</b>
<b>ლოკი (ავტორის შესახებ)</b>	<b>265</b>
<b>გეორგი ტრაქტატი სამოქალაქო მიართვილობაზე</b>	<b>267</b>
<b>(თავები I-V, VII, VIII)</b>	
<b>რუსი (ავტორის შესახებ)</b>	<b>278</b>
<b>ევოლუციური აღზრდის შესახებ (ნიგნი მეორე)</b>	<b>280</b>
<b>ლამარკი (ავტორის შესახებ)</b>	<b>366</b>
<b>ზოოლოგიის ფილოსოფია (I ნაწილი, თავები III, IV, VII, VIII)</b>	<b>368</b>
<b>მარქსი და ენგელსი (ავტორების შესახებ)</b>	<b>408</b>
<b>გერმანული იდეოლოგია (თავი I)</b>	<b>411</b>
<b>დარვინი (ავტორის შესახებ)</b>	<b>442</b>
<b>სახეობათა ნარმობობა (თავები I, II, III, IV, VII)</b>	<b>444</b>
<b>შოლისი (ავტორის შესახებ)</b>	<b>534</b>
<b>სახესხვაობის სწრაფვის შესახებ, უსასრულოდ</b>	
<b>დაშორდეს საცყის ტიპები</b>	<b>536</b>



I

კრებულში შეტანილია სხვადასხვა დროს მოღვაწე ცნობილ მოაზროვნეთა ნაშრომები სრულად ან ნაწყვეტების სახით. წიგნი განკუთვნილია სახელმძღვანელოდ იღია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტის პირველკურსელთათვის საგანში – შესავალი კურსი თანამედროვე აზროვნებაში.

#### **ტექსტები თარგმნები:**

ბაჩანა პრეგვაძემ – პლატონის „სახელმწიფო“ და ნიკოლო მაკიაველის „მთავარი“, გია ნოდამ – თომას პოპსის „ლევიათანი“ და ჯონ ლოკის „მეორე ტრაქტატი სამოქალაქო მმართველობაზე“; სერგი დანიელიმ, ივანე ევაჭაძემ და ერეკლე აბაშიძემ – უან-ჟაკ რუსოს „ემილი ანუ ალზრდის შესახებ“; პავლე იაშვილმა – მარქსისა და ენგელსის „გურმანული იდეოლოგია“; მთარგმნელთა ჯგუფმა – ლამარკის „ზოლოგის ფილოსოფია“, დარვინის „სახეობათა ნარმოშობა“, უოლესის „სახესხვაობების სწრაფვის შესახებ“, უსასრულოდ დაშორდეს საწყის ტიპს „.

#### **ბიოგრაფიული ცნობები მოგვანდეს:**

გურამ თევზაძემ, ნოდარ ლადარიამ, გია ნოდამ, დავით მალაზონიამ, დავით თარხნიშვილმა, ირმა რევიშვილმა, თინათინ ქადაგიშვილმა;

#### **სამეცნიერო რედაქტორები:**

ნათა კოპალიანი, დავით თარხნიშვილი, მაია ახალგაფი, აივენგო შათირიშვილი, ლალი შანშიაშვილი;

#### **გამომცემლობის რედაქტორები:**

მანონ ღუდუშაური, მანანა ბალიაშვილი;

კორექტორი ნინო ქორჩილავა;

დიზაინერი და დამკაბალნებელი ქეთევან გოგავა.

წიგნი გამოიცა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და იღია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაფინანსებით.

პლატონის „სახელმწიფო“ დაბეჭდილია გამომცემლობა „ნეკერის“ წეპართვით.

© 2006. იღია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

**ISBN 99940-65-77-7**

**ISBN 99940-65-78-5**

# გესავალი თანამედროვე აზროვნებაში


I

ნიკო



იღია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

თბილისი – 2006



## ლევიათანი

### თავი XIII

#### ვაცთა მოღვარის პუნეპით მდგრადარაზე მის ჩატივისას და უჩაღურებასთან კავშირში

ბუნებაშ იმდენად თანასწორი შექმნა ადამიან-ები ფიზიკური და ვონებრივი უნარების მხრივ, რომ, თუმცა ზოგი მათგან შეიძლება სხვაზე აშკარად ღონიერი ან ვონებაგასხმილი იყოს, საბოლოოდ ინდივიდები მარც იმდენადაც არ ვანსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომ ვინმერ თქვას, მე რაღაც ის-ეთი სიკეთე მეკუთვნის, რაზეც სხვას ასეთივე პრე-ტენის ვერ ექნებათ. სხეულის ძალა რომ ავილოთ, ის ყველაზე სუსტაც საკმარისი აქვს სამისისოდ, რომ ყველაზე ღონიერი მოყლას, თუკი რამე ფარულ ხრის მიმართავს ან იმას შეეკვრება, ვისაც [ეს ღონიერი ადამიანი] აგრეთვე საფრთხეს უქმნის.

რაც შეეხება ვონებრივ შესაძლებლობებს, თუ გამოეროცხავთ სიტყვის ხელოვნებას, განსაკუთრებით კი ზოგადი და უეჭველი ნებებით ხელმძღვანელობის უნარს, მეცნიერებას რომ უნოდებენ – ეს უკანასკნელი ძალიან ცოტა ადამიანს აქვს და ისიც მხოლოდ ვინრო სფეროში, თანაც ის ადამიანს თანდაყოლილად არ ეძლევა და არც სხვადასხვა საგნებზე დაკვირვებით უეითარდება, როგორც, მაგალითად, კეთილგონიერება, – მე ადამიანთა შორის კიდევ უფრო მეტად ვხედავ თანასწორობას, ვიდრე ფიზიკური ღონის მხრივ. კეთილგონიერება ხომ სხვა არაფერია, თუ არა ვამოცდილება, რასაც ადამიანები თანაბარ დროში თანაბრად მოპოვებენ, თუ ერთსა და იმავე საქმიანობას ენევიან. ასე-თი თანასწორობის დანახვას ხელს უშლის მხოლოდ

გაზიადებული ნარჩოფებინა საკუთარ სიბრძნეზე, რაც თითქმის ყველა ადამიანს აფიქრებინებს, ვიღაც მდაბილებზე უფრო პრეტენზი ვარო – ამ მდაბილებში კი ყველა შეგვეას, გარდა საკუთარი თავისა და იმ რამდენიმე ადამიანისა, ვისაც სახელისა თუ ხშირი ურთიერთობის გამო უფრო მეტად ვაფასებთ. კაცის ბუნება ისეთია, რომ შეუძლია მრავალი სხვა მასზე ვონებამახვილად, მქევრმეტყველად ან ნასწავლად ალიაროს, მაგრამ უჭირს დავუკრება, რომ ბევრი სხვა მასავით გონიერია. ამის მიზეზი ისაა, რომ საკუთარ ჭუას უშუალოდ აღვიტამთ, სხეულისას კი – შორიდან. ეს ადასტურებს, რომ ადამიანები ამ ნიშნით უფრო თანასწორი არიან, ვიდრე არათანასწორი. რა უნდა იყოს უკეთესი მოწმობა რამე სიკეთის თანაბრად განანილებისა, თუ არა ის, რომ თავისი ნიღი ყველას აკმაყოფილებს!

უნარების თანასწორობიდან მიზნების მიღწევის თანაბარი იმედიც ვამომდინარეობს. ხოლო ამის ვამო, თუ ორი კაცი მონიდომებს ერთსა და იმავე საგანს, რომელსაც ორივე ერთად ვერ ფლობს, ისინი ერთმანეთს სამტროდ ეკიდებიან. ამგვარად, როცა ადამიანები მიზნების მიღწევას ესწრაფებიან, რაც უპირატესად თვითგადარჩენა, ხანდახან კი – მხოლოდ სიმოვნებაა, ისინი ამავე დროს ერთმანეთის განადგურებას ან დამორჩილებას ცდილობენ. ამასთან, თავდამსმელს შეუძლია ივარსულოს, რომ მხოლოდ ადამიანის ნინააღმდევობა ექნება დასაძლევი; ხოლო

ის, ვინც რაიმესა დათესავს, მომენს, ააშენებს ან სა-სურველ ნაკეთს დაეპატრონება, უნდა ელოდოს, რომ სხვები მოეშხადებიან და ერთად თავს დაესხმებიან, რათა გაძარცვონ და არა მხოლოდ მისი შრო-მის ნაყოფი, არამედ სიცოცხლეც ან თავისუფლება წაართვან. მაგრამ თავდამსხმელსაც, თავის მხრივ, ასეთივე საფრთხე მოელის.

ასეთი ურთიერთშემს პირობებში საღად მოაზ-როვნე კაცს დაცულობის განცდა ვერ ექნება, თუ არ შეეცდება ძალით ან ხერხით რაც შეიძლება მეტი სხვა ადამიანი დამორჩილობას, სანამ დამშეუწეველი ალარავინ დარჩება. ასეთი ქცევა საკუთარი თავის დაცვის აუცილებლობას არ სცდება და საზოგა-დოდ დასაშევებია. მაგრამ გარდა ამისა, ყოველთვის იქნებიან ისეთნიც, ვისაც სხვებზე გაბატონება საკუ-თარი ძალის დემონსტრირების გამო სიამოვნებს, ამიტომ ისინი უფრო შორს მიღიან ამ მხრივ, ვი-დრე მათი უსაფრთხოება მოთხოვს. ამის გამო, ის ხალხიც, ვინც თავად მზადა მშვიდად იცხოვროს გარეულა საზღვრების შეინით და არ სურს, სხ-ვისი დამორჩილებით გაიფართოოს ძალაუფლება, დიდხანს ვერ გაიტანს თავს, თუ მხოლოდ თავდაც-ვას დასუფრდება. ამიტომ, რაკე სხვებზე ბატონობის სფეროს გაფართოება აუცილებელია ადამიანის თავ-დაცვისათვის, მას ამის უფლებაც უნდა ჰქონდეს.

კიდევ ერთხელ ვიტყვით: ეაცუთათვის სულაც არ არის სასიამოვნო, პირიქით, უამრავი ვაების მომტანია, ერთად იცხოვრონ ისეთი ძალის გარე-შე, რომლის რიციც ყველას ექნება. ყველა მოვლის თანამოქალაქეთაგან ისეთ დაფასებას, როგორც თავისი აზრით, ეკუთვნით; ხოლო ვინც სხვათაგან აპუჩად ავდებას და უპატივებელობას დაინახავს, ბუნებრივად შეეცდება, თუ ამას გაბედავს (ხოლო იქ, სადაც არ არსებობს კაცთა დამაოცებელი საერ-თო ძალაუფლება, ერთმანეთის განადგურებას არა-ფერი უშლით), ამცულოს სხვები, მეტი პატივის-ცემით მოეცერან: ზოგს დასჭირს, სხვებს კი ამით მაგალითს აჩვენებს.

ასე რომ, ადამიანის ბუნებაში კონფლიქტის სამ ძირითად ნუაროს ვპოულობთ: პირველია შეჯიბრი, მეორე – შიში, მესამე კი – პატივებულობა.

პირველი უბიძვებს ადამიანს მოხვეჭისთვის, მეორე – უსაფრთხოებისთვის, მესამე კი – სახელის-თვის დასხსხას თავს სხვას. პირველ შემთხვევაში კაცი ძალადობას იყენებს იმისთვის, რომ სხვა ადამიანებს, მათ ცოლ შეიღლა და ნახირს დაეპატრონოს; მეორე შემთხვევაში – თავის დასაცავად; მესამეში, ისეთი ნერილმანებისთვის, როგორიცაა სიტყვა, ლიმილი, განსხვავებული აზრი ან უპატივებელობის ნების-მიერი გამოხატულება, რომელიც ან უშუალოდ მისი პიროვნებისადმია მიმართული ან გაშუალებულად ეხება მის ახლობლებს, მეგობრებს, ერს, ამქარს ან გვარს.

აქედან ცხადია, რომ, სანამ ადამიანებს არა აქვთ საერთო ძალაუფლება, რომელიც ყველას მონინების მდგრადიარებაში ამიყოფებს, ისინი ომად ნოდებულ ვითარებაში არიან და ეს არის ომი ყველა კაცისა ყველა სხვა კაცის წინააღმდეგ. რამეთუ ომი არ არის მხოლოდ ბრძოლის ან შერეინების მომენტი, ომი ჰქვადა დროის იმ მონაკვეთს, როდესაც საკმარისად ცხადია ბრძოლის გზით დაპირისიერების წება. მშე-სადამე, დროის ცნება ისევე უნდა მივიჩნიოთ ომის ბუნების ნაწილად, როგორც ამას ამინდის შემთხვე-ვაში ვაკეთებთ. როგორც ავდარს არ ვეძახით მხო-ლოდ ცალკეულ უინულლს თუ თქორს, არამედ რამ-დნიმე დღის განმავლობაში წვიმიან ამინდს, ასევე ომის არსია არა მხოლოდ ბრძოლა, არამედ გამოხა-ტული მზაობა ბრძოლისთვის მთელი იმ დროის გან-მავლობაში, როდესაც მისგან დაცული არა ვართ. ყველა სხვა დროის კი მშეიღობა ჰქვა.

მაშასადმე, ყოველივე ის, რაც ითქმის დროზე, როცა ყველა ადამიანი ყველა სხვის მტერია, ითქმის იმ დროზეც, როდესაც ადამიანს არა აქვს უსაფრთხოების სხვა გარანტია, გარდა იმისა, რასაც საკუთარი ძალითა და გამჭრიახობით მოპოვებს. ასეთ პირობებში არავინ შრომობს, რადგან მისი

ნაყოფი ვაურუეველია, შესაბამისად, არ ხდება მიწის დამუშავება, არ მისდევენ ზღვასწინობას ან საზღვაო ვაჭრობას, ფართოდ არ იძლება მშენებლობა, არ ქმნიან იარაღებს, რომელთა მეშვეობითაც დიდ საკნებს ადგილითან დავრჩავთ და გადავიტანთ; არ იძენენ ცოდნას მიწის ზედაპირის შესახებ, არ ზომავენ დროს, არ მისდევენ ხელოვნებას, არ ავითარებენ მნერლობას, არა აქვთ საზოგადოება, რაც ყველაზე უარესია, ადამიანებს მუდმივად ეშინიათ ძალადობრივი სიკედილისა. კაცის ცხოვრება ეულია, ლარიბი, მნარე, ცხოველური და მოკლე.

ვისაც კარგად არ გაუაჩრებია ყოველივე ეს, შეიძლება გაუკვირდეს, რომ ბუნება ასე აცალევებს ადამიანებს და აჯელიანებს მათ, ერთმანეთს თავს დაესახა და გაანდავურონ. ასეთებმა შეიძლება არ დაუკვრინ ჩემს დასკენებს, რავი ისინი ადამიანთა ვნებებიდან გამოშევს, და გამოცდილების მეშვეობით მათი დასაბუთება მომთხოვონ. ასეთი პიროვნება თავის თავს დააკვირდეს: სამოგზაუროდ რომ მიღის, იარაღს ისხამს და ცდილობს, კარგი გამყოლი ახლდეს, დაძინების ნინ კარს კეტავს, სკივრს მაშინაც კი ადებს ბოქლომს, როცა თავად შინაა, და ყოველივე აძალ აჯეთებს იმის მიუხედავად, რომ იცის: არ სეპობს კანონები და შეიარაღებული საჯარო ოფიციურები, რომლებიც პასუსს აგებინებენ უკელას, ვინც მას ზიანს მიაყენებს. რა ნარმალობენ აქეს ასეთ ადამიანს თანამემამულებზე, როცა სამოგზაუროდ იარაღდება; თანამოქალაქებზე, როცა სახლის კარებს რჩავს; შეიღება და მოსამასურებეზე, როცა სკივრს ბოქლომს ადებს? განა ის საქმით ისეთსავე ბრალდებებს არ უყენებს კაცთა მოდგმას, როგორსაც მესიტყველი უუყენებ? მაგრამ არც ერთი ჩემნანი ამ დროს ადამიანის ბუნებას არ ამტყუნებს. ადამიანის სურვილები და ნაირნაირი ვწებები თავისთავად ცოდვა არ არის. ამ ვწებებიდან მომდინარე, ქმედებაც ცოდვად ვერ ჩაითვლება, თუ ჩამდენმა არ იცის, რომ მათი ამჟრძალვი კანონი არსებობს: მაგრამ ეს მას ვერ ეცოდინება, სანამ კანონებს არ შექმნილა.

ხოლო კანონები ვერ დაიწერება, სანამ ადამიანები არ შეთანხმხდებიან, ვის ეკუთვნის მათი დაწერა.

კაცმა შეიძლება სხვათაშორის გაიფიქროს, რომ არასოდეს ყოფილა დრო თუ ვითარება, როდესაც ადამიანები ასე, მოს მდგომარეობაში ცხოვრობდნენ. მეც მნამს, რომ მთელი მსოფლიო ასეთ დღეში არასოდეს ყოფილა. მაგრამ ბევრგან ადამიანებს დღესაც ამგვარად უწევთ ცხოვრება. ამერიკის ბევრ ნაილში ველურ ხალხს სულ არ ჰყავს მთავრობა, თუ არ ჩავთვლით პატარა გვარების ნინამდლოლებს, რომელთა თანხმობა ბუნებით ლტოლვებზეა დამყარებული. მათი ცხოვრება დღესაც ისეთივე ცხოველურია, როგორც ზემოთ აღნერე. ესეც რომ არ იყოს, ისეთ არსებობაზე, როდესაც ხალხს ერთი მთავრობის შიში არა აქვს, შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმის მიხედვით, როგორ გადაგვარდება მშვიდობიანი ხელისუფლების პირობებს შეჩერებულ ადამიანთა ცხოვრება მას შემდეგ, რაც ისინი სამოქალაქო მის მდგომარეობაში აღმოჩნდებიან.

მაგრამ, თუ ეცა არასოდეს ყოფილა დრო, როდესაც ცალკეული ადამიანები ერთმანეთის მიმართ იმის მდგომარეობაში ყოფილან, ყველა ეპოქაში მეფეები და სუვერენული ძალაუფლების მქონე პირები, მათი დამოუკიდებლობის გამო, მუდამ ერთმანეთის ქიშპში არიან და ვლადიატორებივით ერთმანეთის იარაღითა და შზერით ემუქრებიან: სწორედ ამის მჩენებებელია მათ სამეფოთა საზღვრებზე აღმართული ციხე-სიმაგრეები, მათი გარნიშონები, თავები და მშენებლის ზურგში გაგზავნილი მსტორები. ეს სამარტი დგომია. მაგრამ რავი ისინი, ამავე დროს, თავიანთი ქვეშვერდომების გარვას იცავნ, მათი დაპირისპირება ცალკეულ ადამიანებს არ აუპედურებს.

ყოველი ადამიანის ყველა სხვის ნინაალმდევ იმის მდგომარეობიდან გამომდინარეობს ისიც, რომ უსამართლო მასში ვერაფერ იქნება. პიროტებისა და სიკეთის, სამართლიანობისა და უსამართლობის ცნებები აქ უადგილოა. სადაც არ არის საერთო

ხელისუფლება, არ არის კანონი; სადაც არ არის კანონი, ვერც უსამართლობა იქნება. ომში ორი ყველაზე დიდი სიქველე ძალადა ეშმაკობაა. სამართლიანობა და უსამართლობა არც სხეულებრივი უნარია და არც ვონებრივი: სხვა შემთხვევაში ისინი ამქვეყნად მარტო მცხოვრებ ადამიანსაც ისევე უნდა ჰქონოდა, როგორც შევრჩებები და ვნებები. ეს ის თვისებებია, რაც მხოლოდ საზოგადოებაში მცხოვრებ და არა მარტოხელა ადამიანს შეიძლება ჰქონდეს. ამავე პირობებიდან გამომდინარე, ივულისმება ისიც, რომ ამ მდგომარეობაში ვერ იარსებებს საკუთრება, ვერც რამდეს უფლება, ვერც ჩემისა და შენის გარჩევა. ყოველი ადამიანისა იქნება მხოლოდ ის, რაც მან მოპოვა და მხოლოდ მანამ,

სანამ მისი შენარჩუნება შეეძლება. ამით საკმარისი ვთქვით იმ ცუდ მდგომარეობზე, რომელშიც ადამიანს ბუნება აყენებს, – თუმცა, ამავე დროს, მისგან გამოსვლის შანსსაც უტოვებს, რაც ნანილობრივ მის ვნებებს, ნანილობრივ კი ვონებას ემყარება.

ვწებები, რომლებიც ადამიანს მშვიდობისკენ უპიძვებს, არის სიკვდილის შიში, კომფორტული ცხოვრებისთვის საჭირო ნივთების ქონის სურვილი და იმდინ, რომ საკუთარი გარვები შეიძლება მათი მისაღება. ვონება კი სთავაზობს მშვიდობის გამო სადეგ პირობებს, რომელთა შესახებაც ადამიანებს შეთანხმება შეეძლებათ. ამ პირობებს მე ბუნებით კანონებს უუნდებ და მათზე უფრო დაწვრილებით მომდევნო ორ თავში ვილაპარავებ.

#### თავი XIV

### აირველი და გეორგ ბუნებითი კანონებისა და ხელშეკრულების შესახებ

ბუნებითი უფლება, რომელსაც ავტორები, ჩვეულებრივ, *jus naturales*-ს უნდოებენ, არის ადამიანის თავისუფლება, გამოიყენოს საკუთარი ძალა ისე, როგორც სურს, საკუთარი ბუნების ანუ სიცოცხლის შესანარჩუნებლად და, შესაბამისად, მომოქმედოს ნებისმიერი რამ, რაც, მისი მოსაზრებითა და განსჯით, ამ მიზნის მიღწევის საუკეთესო გზაა.

თავისუფლება, ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით, გულისხმობს გარე შეზღუდვების არარსებობას. ასეთი შეზღუდვები ნანილობრივ ართმევს ადამიანს შესაძლებლობას, გააკეთოს ის, რაც სურს, მაგრამ ხელს ვერ შეუშლის, გამოიყენოს დარჩენილი შესაძლებლობები ისე, როგორც მისი განსჯა და გონება უკარნახებს.

ბუნებითი კანონი – *Ius naturalis*, არის მოხსოვნა ან ვონებით მცენებული ზოგადი წესი, რომლის თანახმადაც ადამიანს ეკრძალება გააკეთოს ისეთი რამ, რაც მის სიცოცხლის ხელყოფს ან ვერ შეაძლებინებს მას ამ უკანასკნელის დაცვას და ხელი აღისა იმ საჭალებებზე, რაც, მისი აზრით, საუკეთესო სიცოცხლის შესანარჩუნებლად. თუმცა ისინი, ვინც ამ საგანზე მსჯელობს, ხშირად ერთმანეთში ურეუს *jus*-სა და *Iex*-ს – უფლებასა და კანონს. მათი გარჩევა აუცილებელია, რადგან უფლება რამის გაცემის ან რამესაც თავის შეკავების თავისუფლებაა, ხოლო კანონი გვიდგენს და გვავალდებულებს ქცევის ამათუ იმ წესს. ასე რომ, კანონი და უფლება ისევე განსხვავდება ერთმანეთისგან, როგორც მოვალეობა და თავისუფლება, რომელიც არ შეიძლება ერთსა და იმავე საგანთან მიძართებაში გავაიგოთ.

როგორც ეს ნინა თავში გაცხადდა, კაცის მდგომარეობა არის ომი ყველასი ყველა სხვის ნინააღმდეგ; ხოლო ამ დროს ყველა თავისი გონების კარნასს მისდევს და არაფერია ისეთი, რისი ვაკეთებაც კაცს მტკრთან პრძოლაში სიცოცხლის შესანარჩუნებლად ეკრძალებოდეს. მაშასადამ, ასეთ მდგომარეობაში ყველა ადამიანს ყველაფრის უფლება აქვს, მათ შორის მეორის სხეულის ხელყოფისა. აქედან გამომდინარე, სანამ ძალაშია ბუნებითი კანონი, რომლის თანახმადაც ადამიანს ყველაფრის უფლება აქვს, ვერც ერთი მათვანი ვერ იქნება დარნემუნებული, რომ იმდენ ხას იცოცხლებს, რამდენიც მისთვის ბუნებას დაუდგენია. აქედან გამომდინარეობს მოთხოვნა ან გონების ზოგადი წესი, რომ ყოველი კაცი უნდა ესწრაფვოდეს მშვიდობას, რამდენადაც მისი მოპოვების იმედი აქვს; ხოლო თუ მშვიდობის მოპოვება არ ძალუდა, მას შეუძლია ომის ყველა ხერხი და გზა ეძებოს და გამოიყენოს. ამ წესის პირველი ნაწილი შეიცავს პირველ და ძირულ ბუნებით კანონს, რაც გულისხმობს მშვიდობის ძიებას და მის შესაფერის ქცევას; მეორე კი ბუნებითი უფლების შეჯამებაა და ამბობს, რომ წებისმიერი საშუალებით შეგვიძლია თავის დაცვა.

ბუნების ამ ძირული კანონიდან, რომელიც ყველა ადამიანისაგან მშვიდობის ძიებას მოითხოვს, გამომდინარეობს მეორე კანონი: თუ სხვებსაც აღმოჩნდათ იგიც სურვილი, ადამიანი მზად უნდა იყოს, რამდენადაც მშვიდობისა და თავდაცვისთვის საჭირო მიზნებს, ხელი აღისა თავის საყოველთაო უფლებაზე და დაკაუშირილდეს იმდენი თავისუფლებით სხვა ადამიანებთან მიმართებაში, რამდენსაც ის სხვა ადამიანებში დაუშვებას საკუთარი თავის მიმართ. რადგან, სანამ ადამიანები ინარჩუნებენ თავისუფლებას, აკეთონ ის, რაც მოესურვებათ, ყველანი ერთმნეთთან ომის მდგო-

მარეობაში არიან. მაგრამ თუ სხვები მასავით არ იტყვიან უარს თავის უფლებაზე, მაშინ ვერც ერთ ადამიანს ვერ მოვთხოვთ, თავისი დათმოს, რადგან ამ შემთხვევაში ის მშეიდობისთვის კი არ ემზადება, არამედ მძარცველთა ნინაშე დაუცველი რჩება, ამას კი ვერავის მოვთხოვთ. ეს სახარების კანონია: მოექცით სხვა ადამიანებს ისე, როგორც თქვენ ვინდათ, რომ ისინი მოგექცნენ<sup>1</sup>. და ეს არის ყველა კაცის კანონი: *quod tibi fieri non vis, alteri ne feceris.*<sup>2</sup>

კაცის მიერ რაიმე უფლების დათმობა ნიშნავს იმას, რომ იგი უარს ამბობს თავისუფლებაზე, ხელი შეუშალოს სხვას, იგივე უფლება თავის სასიკეთოდ გამოიყენოს. ის, ვინც უარს ამბობს ან ხელს იღებს რაიმე უფლებაზე, ამით რომელიმე სხვა ადამიანს კი არ ანიჭებს უფლებას, რომელიც მას მანამდე არ ჰქონია – რადგან არაფერია ისეთი, რისი უფლებაც ადამიანს ბუნებით არა აქვს – არამედ უპრალოდ ნინ აღარ აღუდგება მას, საშუალებას აძლევს ამ მეორე ადამიანს, მისივე ძირული უფლება მისვან (მაგრამ არა საზოგადოდ სხვა ადამიანებისაგან), დაუპრალებლად გამოიყენოს. ასე რომ, ადამიანისთვის მომგებიანია, თუ სხვები თავის უფლებაზე ხელს აიღებენ, რადგან ის ამდენადევე შეამცირებს დაპრალებას საკუთარი პირველადი უფლების განსახორციელებლად.

უფლების დათმობა ხდება ან უპრალოდ, მასზე ხელის აღებით, ან მისი სხვისთვის გადაცემით. უპრალოდ ხელის აღება ნიშნავს, რომ ადამიანს არ აინტერესებს, ვინ იხერობს [მისი გადაწყვეტილებით]. გადაცემასთან საქმე გვაქვს მაშინ, როდესაც მას [საკუთარი გადაწყვეტილებიდან მომდინარე] სარგებელი რომელიმე პირველების თუ პიროვნებებისთვის აქვს განსაზღვრული. როდესაც ადამიანმა ამა თუ იმ სახით უარი იქვა თავის უფლებაზე ან ის სხვას უბობა, მაშინ ის ვალდებულია, მისი გამოიყენება არ

1. ის. მათე 7:12; დაუგა 6:31.

2. იმავე პირნციპის შემსრულებული დათონური ფორმულირება:

ნუ გაუკეთებ სხვას იმას, რაც არ გინდა, შენ გავიკეთონ.

დაუშალოს იმ ხალხს, ვისაც ეს უფლება გადასცა ან ვის სასარგელოდაც მასზე უარი თქვა. მას მართებს, მისი მოვალეობაა, საკუთარი ნებით მიღებული ეს გადაწყვეტილება აღარ გააუქმოს, ხოლო მისი მხრიდან ასეთი დაპროლების შექმნა მას შემდეგ, რაც უფლებაზე ხელი აქვს აღებული ან იგი სხვას გადასცა, იქნებოდა უსამართლობა ან ზიანის მიყენება, ანუ *sine jure<sup>1</sup>* ქმედება. ზიანის მიყენება ან უსამართლობა საერო დავებში დაახლოებით იმას ჰქონა, რასაც მეცნიერთა კამათებში უაზრობას უწოდებენ. ისევე, როგორც მსჯელობის პროცესში უაზრობაა თქვა იმის საპირისპირო, რასაც თავიდან ამტკიცებდი, ასევე საზოგადოებრივ საქმეებში უსამართლობად და ზიანის მიყენებად მიჩნევა ისეთი ქცევა, როდესაც ნებაყოფლობით აუქმის იმას, რასაც საკუთარი ნებით აკეთებ. გზა, რითაც ადამიანი, უპრალოდ, ხელს იღებს თავის უფლებაზე ან სხვას გადასცემს მას, არის განცხადება ან რამე ნებაყოფლობითი და საკრისი ნიშნით თუ ნიშნებით მითითება, რომ იგი უფლებას თმობს ან სხვას გადასცემს. ეს ნიშნები ან მხოლოდ სიტყვებია, ან მხოლოდ ქმედებები, ხშირად კი, ერთდროულად სიტყვებიცა და ქმედებებიც. ეს უკანასკნელი შეადგენენ დანაკისრებს, რითაც ადამიანი შეზღუდული და მოვალე რჩება. ამ დანაკისრების ძალა მომდინარეობს არა პუნქტიდან – რადგან არაფერობა უფრო ადვილი გახატები, ვიდრე კაცის სიტყვა – არამედ შიშიდან, რომ მოვალეობის შეუსრულებლობას შეიძლება ცუდი შედევი მოჰყევს.

როდესაც ადამიანი რამე უფლებას სხვას გადასცემს ან მასზე ხელს იღებს, ის ამას აკეთებს იმის გამო, რომ თავად იღებს ტოლფას უფლებებს ან რამე სხვა ხელს ეღის. რამეთუ ეს ნაბაყოფლობითი ქმედებაა, ხოლო ადამიანის ყველა ნებაყოფლობითი ქმედების მიზანია საკუთარი თავისოვის რამე სიკეთის მოპოვება. მაშასადამე, არსებობს გარუეული

უფლებები, რომელთა შესახებაც ადამიანი ვერანირი სიტყვით ან ნიშნით ვერ გაგვაგებინებს, რატომ უნდა უნდოდეს მათი დათმობა ან გადაცემა. პირველ ყოვლისა, კაცი ვერ დათმობს უფლებას, ნინააღმდევობა გაუწიოს იმას, ვინც მას ძალადობით თავს ესხმის მოსაკლავად, რადგან გაუგებარია, რა სარგებელს შეიძლება ელოდეს ის ასეთი დათმობით. იგივე ითქმის [იმაზე, რომ ადამიანი არ გაუძალიანდეს თავდასხმას, რომლის შედეგადაც] მას დაჭრიან, პორტილებს დაადგებენ და საპურობილები ჩააგდებენ: ასეთი რამის ატანით კაცი ვერ მიიღებს სარგებელს, განსხვავებით იმ ვითარებისგან, როცა ის სხვის დაჭრას თუ დატყვევებას ეგუება. გარდა ამისა, როცა სხვები მასზე ძალადობით მიიჩნევენ, ის ნინასნარ ვერ იტყვის, უნდათ თუ არა მისი მოველა. საპოლონდ, უფლების დათმობის ან გადაცემის მოტივი და მიზანი სხვა არაფერობა, თუ არა ადამიანის პიროვნული უსაფრთხოება იმ თვალსაზრისით, რომ მას ჰქონდეს საშუალება, დაიცვას თავისი სიცოცხლე და ისე შეინახოს თავი, რომ სიცოცხლე არ მოპერდეს. მაშასადამე, თუ ადამიანი სიტყვით ან რამე ნიშნით უარს იტყვის იმ მიზანზე, რისთვისაც ეს ნიშანი იყო განკუთვნილი, ვერ ჩავთვლით, რომ ის ამას ნამდვილად გულისხმობდა ან ასეთი იყო მისი ნება: უნდა მივიწინოთ, რომ მას არ ესმოდა, როგორ შეიძლებოდა გაეგოთ მისი სიტყვები ან ნიშნები.

უფლების ურთიერთგადაცემა არის ის, რასაც სელშეკრულებას ეძახიან.

ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ რამე სავნის მიმართ უფლების გადაცემა და თავად ამ სავნის გადაცემა ანუ მინოდება. სავნის მინოდება შეიძლება უფლების გადაცემასთან ერთად, როგორც ხდება ნალიდი ფულით რამეს ყიდვა-გაყიდვის, საქონლის თუ მინის გაცელისას. ნივთის მინოდება შეიძლება მოგვიანებითაც მოხდეს.

1. სამართლებრივ საფუძველს მოკლებული.

შესაძლოა, ხელშეკრულების ერთ-ერთმა მხარემ გარცვეული ვაღით გადადოს საგნის მიწოდება, რაც მისი ვალდებულებაა, და ასევე გადაავადოს მეორე მხარის მიერ მისი დანაკისრის შესრულებაც. ამ პერიოდში ის მეორე მხარის ნდობით სარგებლობს. ასეთ შემთხვევაში, ხელშეკრულებას პაქტი ან გარიგება შეიძლება კუნიდოთ. ორივე მხარე შეიძლება შეთანხ-

მდეს, რომ მოვიანებით შეასრულებენ თავიანთ მოვალეობებს. ამ შემთხვევაში ის, ვინც გარცვეულ ვადამდე რაღაც მოქმედება უნდა შეასრულოს, ნდობით სარგებლობს, მის მიერ ამ მოქმედების აღსრულება პირობის შესრულება ანუ ნდობის გამართლებაა, – ამ მოქმედების ნებაყოფლობით შეუსრულებლობას კი პირის გატეხა ჰქვია. 

## თავი XVI

### პიროვნებებზე, ავტორებსა და ნარჩობების საგნებზე

[...] ადამიანთა სიმრავლე ერთ პიროვნებად იქცევა, როცა იყო ნარმოდგენილია ერთი ადამიანით ან ერთი პიროვნებით, თანაც ისე, რომ ეს ამ სიმრავლეში შემავალი თითოეული წევრის თანხმობით ხდება, რამეთუ ნარმომადგენლის და არა ნარმომადგენელთა ერთობაა, რაც პიროვნებას ერთად აქცევს. მხოლოდ ნარმომადგენელია პიროვნების, ამასთან მხოლოდ ერთი პიროვნების, მატარებელი; სხვაგვარად, ერთობა სიმრავლეში ნარმოუდგენელია.

რადგან სიმრავლე თავისი ბუნებით ბევრია და არა ერთი, მისი ნარმომადგენლები ჩაითვლებიან მრავალ და არა ერთ ავტორად ყოველივე იმისა, რა-საც მათი ნარმომადგენელი მათი სახელით ამბობს ან აკეთებს. ყოველი ადამიანი საერთო ნარმომადგენელს აძლევს რჩმუნებას (ავტორიზაციას) საკუ-

თარი თავის მხრიდან და ფლობს ყველა მოქმედებას, რომელსაც მისი ნარმომადგენელი სჩადის, თუ მათი რჩმუნება შეზღუდული არ არის. სხვა შემთხვევაში, როცა ისინი ზღუდავენ მას იმაში, რაში და სადამდე შეუძლია მათი ნარმოდგენი, არც ერთი [ნარმომადგენელი] არ ფლობს იმაზე მეტს, ვიდრე ის, რისი გაკეთების მანდატიც მისცეს.

ხოლო თუ ნარმომადგენელი მრავალი ადამიანისგან შედგება, მეტი ხმა ყველა მათვანის ხმად უნდა ჩაითვალოს. მაგალითად, თუ მცირე ნაწილი გამოიტვამს თანხმობას, ხოლო უმრავლესობა – უთანხმოებას, უარი საჭიროშე მეტი იქნება იმის-თვის, რომ პო გააქარნელოს. მაშასადამე, არა-ს უპირატესობას აღარაფერი უპირისპირდება და ის ნარმომადგენლის ერთადერთ ხმად იქცევა.

## თავი XVII

**სახელმწიფო მიზანებზე, ნარიშობასა  
და განსაზღვრებაზე**

საბოლოო მიზეზი, მიზანი თუ ჩანაფიქრი, რის გამოც თავისუფლებისა და ბუნებით სხვებზე ბატონობის მოყვარული ადამიანები იმგვარად იზლუდავენ თავს, როგორც ამას თანამედროვე სახელმწიფოებში ვხედავთ, თვითშენახვის და მშეიდი ცხოვრების მოლოდინია. სხვა სიტყვებით, მათ უნდათ, ამ გზით თავი დააღნიონ მის იმ უბადრუკ მდგომარეობას, რაც, როგორც ვაჩვენეთ (თ. 13), აუცილებლად გამომდინარეობს ადამიანის ბუნებრივი მისნრაფებებიდან ისეთ პირობებში, როდესაც არ არსებობს თვალსაჩინო ძალა, რაც მათ მონიშვნაში ამყოფებს და სასჯელის შიშით აიძულებს, დაემორჩილონ მათსავე ხელშეკრულებას და მე-14 და მე-15 თავებში ჩამოყალიბებულ ბუნებით კანონებს.

ისეთი ბუნებითი კანონები, როგორიცაა სამართლიანობა, თანასწორობა, თავმდაბლობა, გულმოწყვალება, მოვლედ, სხვის მიმართ ისე მოქცევა, როგორც ვინდა, რომ ჩეკ მოგვეკცნენ, ცხადია, მათი შესრულების მაძულებელი ძალის მიმართ ძრნოლის გარეშე, ენინალმდეგება ჩვენს ბუნებით ვნებებს, რომლებიც მიკერძოებისკენ, გულწვადობისკენ, შერისხებისა და მსგავსი ქცევისკენ ვეიბინგებენ. ხმლის გარეშე შეთანხმებები ლდენ სიტყვებია და ადამიანის უსაფრთხოების უზრუნველყოფის უნარი არა აქვს. მაშასადამ, რასაც არ უნდა ითხოვდეთ ბუნების კანონები (რომელთაც მხოლოდ იმ შემთხვევაში ვიცავთ, თუნდაც ამის სურვილი ვექონდეს, თუ ეს საფრთხეს არ მოვეტანს), თუ არ იარსებებს ჩვენი უსაფრთხოების უზრუნველყალით და საკმარისი ძალაუფლება, მაშინ ყველა ადამიანი სრული უფლებით დაეყრდნობა საკუთარ ძალას და მოხერხებას სხვა ადამიანებისაგან თავის დასაცავად. [...]

ერთადერთი გზა ასეთი საერთო ძალაუფლების შექმნისა, რომელიც შეძლებს, დაიცვას ადამიანები უცხოულთა შემოსევებისა თუ ერთმანეთის მიმართ ვნების მიყენებისაგან და საჭეალებას მისცემს მათ, საკუთარ შრომითა და მიწის ნაყოფთა გამოყენებით გამოკვებონ და დამაკმაყოფილებელი ცხოვრება ჰქონდეთ, არის ადამიანთა მთელი ძალისა და შეძლების გადაცემა ერთი კაცისთვის ან საკრებულოსთვის, რომელიც თავისი ნევრების ნებებს ხმის უმრავლესობით ერთ ნებას დაუქცემდებარებს. ეს ნიშნავს, რომ ადამიანებმა მათი სახელით სამოქმედოდ უნდა დანიშნონ ერთი კაცი ან საკრებულო, და თითოეულმა ყველა იმ მოქმედების მფლობელად და ავტორად უნდა გამოაცხადოს თავი, რასაც იყო ჩაიდებს ან სხვას ჩაადგინონს საერთო მშეიდობისა და უსაფრთხოების დასაცავად. ამით მათ თითოეულის ნება მის ნებას უნდა დაუქცემდებარონ, თითოეულის განსჯა — მის განსჯას. ეს მეტია, ვიდრე თანხმობა ან ერთსულოვნება: ეს მათი ნამდვილი გაერთიანებაა ერთსა და იმავე პიროვნებაში, რაც ყველა ადამიანის ყველა სხვასთან შეთანხმებით ხდება. ეს ისე ხდება, თითქოს თითოეულ ადამიანს თითოეული სხვისთვის ეთვეს: მე ამ კაცს, ან ადამიანთა ამ საკრებულოს, რჩმუნებას ვაძლევ და ვუთმობ ჩემი თავის მართვის უფლებას იმ პირობით, თუ შენც ვაღიაცემ მას ასეთ სავე უფლებას და ასეთსავე რჩმუნებას. ამის შემდეგ, ერთ პიროვნებად გაერთიანებულ სიმრავლეს ერქმევა სახელმწიფო (*commonwealth*), ლათინურად — *civitas*. ამრიგად, ექმნება ის დიდი ლევიათანი (ან, უფრო მონიშვნებით თუ ვიტყვით, მოვედავი ლევირთი), რომელსაც უკვდავი ლევირთის ხელში, მშეიდობასა და უსაფრთხოებას უქმადლით. რაც ამ რჩმუნების ძალით, რაც მას სახელმწიფოში თითოეული ადამიანისაგან აქვს მინიჭებული, მას იმდენი უფლება და

ძალა აქვს, რომ, ამ ძალისადმი შიშვებ დაყრდნობით, შეუძლია ყველა მათგანის წება მიმართოს საშინაო მშეიდობის მისაღწევად და გარე მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთმანეთის დასახმარებლად. სწორედ ამაშია სახელმწიფოს არსი, რომელიც შეიძლება განვითაროს, როგორც ერთი პიროვნება, რომლის მოქმედების აუტორიადაც თავი გამოაცხადა მრავალმა, ვინც ერთმანეთს შეუთანხმდა იმის თაობაზე, რომ მას შეუძლია ყველა მათგანის ძალა და უნარები გამოიყენოს ისე, როგორც საჭიროდ ჩათვლის შეიძლობისა და საერთო უსაფრთხოებისათვის. ამგვარ პიროვნებას ჰქვია სუვერენი და მას სუვერენული ძალაუფლება მიენერება; ყველა სხვა კი მისი ქვეშევრდობითა.

სუვერენული ძალაუფლების მოპოვება ორგვარი გზით არის შესაძლებელი. ერთ შემთხვევაში ეს

ხდება ბუნებრივი ძალით, იმის მსგავსად, როგორც კაცი აიძულებს თავის შეილებს თვითონაც და თავიანთი შეილებიც მის მმართველობას დაუქვემდებაროს, რადგან უარის შემთხვევაში მათი განადგურება შეუძლია. ასევე, კაცს შეუძლია, იმით დამორჩილოს სხვები მათი სიცოცხლის შენარჩუნების პირობით. მეორე ჭია ისაა, როდესაც ადამიანები თავისი წებით თანხმდებიან, დაემორჩილონ ერთ ადამიანს ან ადამიანთა საკრებულოს იმის რჩენით, რომ ისინი მათ ყველა სხვისგან დაიცვენ. ამ უკანასკნელს შეგვიძლია უსწოდოთ პოლიტიკური სახელმწიფო, ან დაწესების ჭიით შექმნილი სახელმწიფო, პირველს კი – მოხვეჭის გზით შექმნილი სახელმწიფო. თავდაპირველად დაწესების გზით შექმნილ სახელმწიფოზე ვისაუბრებ. 

## თავი XVIII

### დაცასახით შეაძლის სუვერენის უფლებები

სახელმწიფო დაწესებულად ითვლება, თუკი მრავალი ადამიანი თანმხდება და თითოეული მათგანი ხელშეკრულებას დებს თითოეულ სხვასთან იმაზე, რომ ვისაც არ უნდა მიანიჭოს მათმა უმრავლესობაზე ყველა მათგანის პიროვნების წარმოდგენის უფლება (ადამიანის თუ საკრებულოს) – ანუ ვინც არ უნდა გახადონ თავის წარმომადგენლად – ყველამ, იმისდა მიუხედავად, ამ წარმომადგენელს მისცა ხმა თუ მისი წინააღმდევი იყო უნდა მოახდინოს ამ კაცის თუ საკრებულოს ყველა ქმედებისა თუ გადაცემის აუტორიზაცია ისე, თითქოს ის თავად მათი ყმოქმედოთ] ერთმანეთში მშეიდობის შენარჩუნებისა და სხვა ადამიანთავან თავდაცვის მიზნით.

სახელმწიფოს ამ დაწესებიდან წარმოდგება ყველა უფლება და უნარი იმ ადამიანისა თუ საკრებულოსი, ვისაც გაერთიანებული ადამიანების თანხმო-

ბით სუვერენული ძალაუფლება მიენიჭა. პირველ რიგში, რაც ისინი ხელშეკრულებას დებენ, წინასწარ იულისსხმება, რომ არ არიან შეზღუდულნი რაიმე ნინა ხელშეკრულებით, რომელიც ახლის საწინააღმდეგოს გააკეთებინებდა. შესაბამისად, თუ მათ უკვე დააწესეს სახელმწიფო და ხელშეკრულებით ევალებათ მისი მოქმედებებისა და გადაწყვეტილებების მფლობელი იყვნენ, ისინი სახელმწიფოს წებართვის გარეშე ერთმანეთთან კანონიერად ვეღარ დადგენ, ახალ ხელშეკრულებას, რომლის ძალითაც სხვას დაემორჩილებიან წებისმიერ სფეროში. მაშასადამე, ისინი, ვინც უკვე მონარქის ქვეშეკრდომია, მისი წასელის გარეშე ვერ უარყოფენ მონარქიას და ვერ დაუბრუნდებიან კავშირის არმქონე სიმრავლის თავაშვებულობას და ვერც საკუთარ პიროვნებას წაართვევნ იმას, ვინც მისი მატარებელია და სხვა ადამიანს ან საკრებულოს ვერ გადასცემენ. რადგან